

**მოკლე შინაარსი:** კატრინი და გიორგი უნივერსიტეტის ტბასთან არიან და მზეს ეფიცებიან. თანდათან პატარა უსიამოვნებები იჩენს თავს მაგ: სანამ გიორგი გარკვეული საქმეებით არის დაკავებული, კატრინი სხვა მამაკაცის ყურადღების ქვეშ მოექცევა. შემდეგი ისტორია გვიჩვენებს, უნივერსიტეტის მიდამოებში კიდევ რა დაწესებულებები შეიძლება ნახოთ. ქსეროქსის ჯიხური, ველოსიპედების მაღაზია და სხვ.

**ავტორი:** ერთ მშვენიერ დღეს, ლექციებს შორის შესვენებაზე, უნივერსიტეტის ტბასთან შეყვარებული წყვილი კატრინი და გიორგი ხვდებიან ერთმანეთს და მზის სხივებით ტკბებიან.

**კატრინი:** – ოჰ! გიორგი რა ბედნიერებაა, რომ შენ ჩემთან ხარ!

**გიორგი:** – დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ დიდხანს, მაგრამ დაგვიანდება..თან ხომ გვინდოდა „უნიკუმში“\* ყავა დაგველია? თან მშია და რამეც ვჭამოთ. „უნიკუმში“ ძალიან გემრიელი შნიცელი იყიდება.

**კატრინი:** – დღეს საკმარისად არ ჭამე? იქ იმხელა პორცია იყიდება, ცოტა შენს ფიგურაზეც უნდა იზრუნო.

**გიორგი:** – ჰო კარგი, კარგი...მაშინ აბა წავედით!

**ავტორი:** როდესაც კატრინი და გიორგი ველოსიპედებთან მოვლენ, გაკვირვებულები მიაჩერდებიან კატრინის ველოსიპედის დაშვებულ ბორბალს.

**კატრინი:** – ოჰ! ჯანდაბა! ...ახლა რა უნდა ვქნათ?

**გიორგი:** – დამშვიდდი, არაა პრობლემა. ამას ახლავე წავიღებ „უნი – ველოსიპედში“ და შევაკეთებინებ... უკვე მივდივარ!...ჰმ! სად იყო ეს ველოსიპედების მაღაზია?...აჰ! მგონი გაჩერებიდან მარჯვნივ უნდა გავუყვე გზას შუქნიშნამდე...აჰ! აგერ კუთხეში „მისტერ ონიონის“ რესტორანი თავისი გემრიელი ბიურგერებით...ახლა ოდნავ კიდევ მარცხნივ და... აგერ მოვედით!

**ავტორი:** კატრინი უნივერსიტეტის ტბასთან დარჩა და ვიდრე შეყვარებული გიორგი ველოსიპედზე ზრუნვით არის დაკავებული, მზეზე ირუჯება... და უცებ მის სიახლოვეს გამოჩნდება ერთი, ქალების გულთამპყრობელი – ანსგარი და მიუჯდება კატრინს გვერდით.

**ანსგარი:** – გამარჯობა კატრინ! უნდა გითხრა, რომ დღეს განსაკუთრებულად გამოიყურები.

**კატრინი:** – მადლობა..ახლა გავწითლდები.

**ანსგარი:** – ეს იმის გამოა, რომ დიდი ხანია მზეზე ხარ...წითელზე გამახსენდა, არ გინდა მარწყვების მდელოზე წავიდეთ და ტკბილი მარწყვები ვჭამოთ?

**კატრინი:** – რა მარწყვების მდელო?

**ანსგარი:** – მარწყვების მდელო, ეკონომიკურ-მეცნიერებათა ფაკულტეტის უკან. ერთი გლახისგან ზაფხულობით იქ მარწყვი შეგიძლია იყიდო კიდეც. უფრო მეტიც – თავადაც შეგიძლია დაკრიფო, აარჩიო რომელიც მოგეწონება.

**ავტორი:** კატრინს ძალიან მიმზიდველად ეჩვენება ეს იდეა, მაგრამ ეჭვობს, რომ ანსგარს სხვა რამ ამოძრავებს...ამასობაში, გიორგი უკვე მოვიდა ველოსიპედების სახელოსნოში.

**გიორგი:** – გამარჯობა! აი ხედავთ? ველოსიპედს საბურავი დაეშვა. შეძლებთ ამის შეკეთებას?

**სახელოსნოს თანამშრომელი:** – რა თქმა უნდა! ამისთვის არ ვართ აქ?!

**გიორგი:** – ძალიან კარგი!...უი! აქ ამდენი ველოსიპედი რომ დგას, ყველა შესაკეთებელია?

**სახელოსნოს თანამშრომელი:** – არა არა! ჩვენ აქ ვყიდით კიდეც ველოსიპედებს. როგორც ახალს ასევე ნახმარს. შესაძლებელია ქირაობაც. გვაქვს ასევე ველოსიპედი „ტანდემი“, ანუ ერთი ველოსიპედი ორი ადამიანისთვის.

**გიორგი:** – ვა! მაგარია! ამით კი გავისეირნებდი კატრინთან ერთად ბუნებაში...და როდის შემიძლია ჩემს ველოსიპედს მოვაკითხო?

**სახელოსნოს თანამშრომელი:** – თუ დრო გაქვს? შეგიძლია რამოდენიმე წუთით აქვე დაიცადო, ან ერთ ნახევარ საათში გამოიარო, იქამდე ნამდვილად მზად იქნება.

**გიორგი:** – ძალიან კარგი! მაშინ გამოვივლი ცოტა ხანში. აბა დროებით!

**ავტორი:** გიორგი სიხარულით გაემართება კატრინისკენ. როცა ველოსიპედების მაღაზიის მოპირდაპირედ მდებარე საცხობს ჩაუვლის გვერდით, მადის აღმძვრელი ფუნთუშების სუნს შეიგრძნობს.

**გიორგი:** – აბა თუ „უნიკუმში“ ჭამის უფლება არ მაქვს, მაშინ აქ მაინც ვიყიდი რაიმე ფუნთუშას, თორემ შიმშილით მოვკვდები.

**ავტორი:** – გიორგი იყიდის თავისთვის ერთ ფუნთუშას და გაეშურება ტბისკენ. გაჩერებასთან მოსულს, წინ ჩამოუდგება ტრამვაი. იღება კარი და უცებ შემოხვდება ქალბატონი შმიდტი, ერთ–ერთი მისი დოცენტი, რომელიც ისეა, ძლივსღა სუნთქავს.

**ქალბატონი შმიდტი:** – უი გიორგი! კარგია, რომ შემომხვდი. საოცრად მეჩქარება, მაგრამ სემინარისთვის რამოდენიმე გვერდი დაგვჭირდება, რომ დავაკოპიროთ! აი აგერ 315–340–მდე ოცი ეგზემპლარი. მაძლობა წინასწარ! მოკლედ ჩემი გმირი ხარ!

**ავტორი:** როგორც მოულოდნელად გამოჩნდა, ისე მოულოდნელად გაქრა ქალბატონი შმიდტი.

**გიორგი:** – ოჰ! ასე დღეს ვერ მივალ კატრინამდე! მაგრამ არაუშავს, აგერ, მარჯვნივ გასასვლელში ევროპის მოედნისკენ, ქსეროქსის ორი ჯიხურია. არჩევანის საშუალება კი მაქვს. ქალბატონი შმიდტი სულ მალე მიიღებს თავის ქსეროქსს.

**გიორგი:** – გამარჯობა, რამოდენიმე გვერდის დაქსეროქსება მინდა ამ წიგნიდან.

**თანამშრომელი:** – დიდი სიამოვნებით! აგერ წინ რომ დგას იმ აპარატთან დავაქსეროქსოთ. გინდა შემდეგ ფურცლებიც ავკინძო რომ არ დაგებნეს?

**გიორგი:** – კი შეგიძლიათ?

**თანამშრომელი:** – რა თქმა უნდა! ჩვენ ყველა სახის აკინძვას ვაკეთებთ. ამასგარდა, ამობეჭდვას CD – დისკიდან, ჩიპიდან ან ინტერნეტიდან და არა მხოლოდ ქალაქში, არამედ მაისურზეც ან ბალიშის პირზე და ა.შ.

**გიორგი:** – ოჰ! ბალიშზე ლამაზი სასიყვარულო წარწერით ჩემს კატრინს ნამდვილად გავახარებდი, მაგრამ ახლა მხოლოდ ქსეროქსს გავაკეთებ, აკინძვის გარეშე თუ შეიძლება.

**ავტორი:** – სანამ გიორგი ტბამდე მოაღწევს, მზე უკვე გადასულია. კატრინის კვალიც აღარსად ჩანს

**გიორგი:** – კატრინ! კატრინ?!

**დანიელ:** – გამარჯობა გიორგი!

**ავტორი:** მოისმა ხმა ტბის ნაპირიდან, სადაც ჩასუქებული დანიელი დგას შოკოლადით ხელში. დანიელი გიორგის ჯგუფელია და მისი და კატრინის ბედნიერების მოშურნე.

**დანიელი:** – კატრინს ხომ არ ეძებ?... დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მგონი ანსგართან ერთად მარწყვების მდელიოზე წავიდა...მაპატიე, არ მინდა გაზვიადებული გამოძვიდეს, მაგრამ ორივე საკმაოდ ბედნიერი ჩანდა.

**ავტორი:** დათრგუნული გიორგი გადაწყვეტს რესტორან „მისტერ ონიონში“ წავიდეს. რესტორანი, სწორედ იმ კუთხეშია, წელან რომ გამოიარა. საერთოდ იქ მხოლოდ მეგობრებთან ერთად, წყნარ ატმოსფეროში კოქტეილის დასალევად მიდის ხოლმე, მაგრამ ამჯერად – დარდის გადასაყოლებლად. გიორგი გაწბილებულია და თვალეში ცრემლები აქვს მომდგარი. ისე, რომ ვერც კი შეამჩნია თავისმა საყვარელმა გოგონამ გვერდით როგორ ჩაუარა.

**კატრინი:** – გიორგი?! სად იყავი ამდენ ხანს?

**ავტორი:** კატრინი შემოეხვევა გიორგი.

**გიორგი:** – მოიცა...კი მაგრამ ... იმ გასიებულმა დანიელმა მითხრა, რომ შენ ანსგართან ერთად წახვედი...

**კატრინი:** – ეჰ სულელო! იმ გასიებულს როგორ უჯერებ?...ისე მართალია, ანსგარი კი შეეცადა გავეტყუებინე, მაგრამ ჩემთვის მხოლოდ შენ არსებობ, შენ კიდევ კარგა ხანს არ გამოჩნდი. ავდექი და წიგნების მაღაზიაში წავედი... მერე იქ კითხვაში დრო ისე გამეპარა, ვერ გავიგე...ხომ არ მიბრაზდები?

**გიორგი:** – ოჰ! კატრინ! როგორ შეიძლება შენზე გაბრაზებული ვიყო. მოდი წავიდეთ, შენი ველოსიპედი გამოვიტანოთ. ამასობაში მზად კი იქნება...თან მგონი ამდენი ნერვიულობის მერე ვიმსახურებ რაიმე რიგიანად შეეგჭამო.

**კატრინი:** – ახლა! ახლა სადაცაა სემინარზე უნდა წავიდეთ! ... ჩემო კარგო, მოდი ასე გავაკეთოდ: სემინარის მერე წავიდეთ „უნიკუმში“ და მე გეპატიჟები შენ საყვარელ შნიცელზე.

**გიორგი:** – ოჰ! ჩემო კატრინ!

**ავტორი:** აი ასე! ამასობაში კატრინის ველოსიპედიც ჩადგა მწყობრში. კატრინი და გიორგი კი შეხმატკბილებულნი, ხელიხელჩაკიდებულები მიუყვებიან უნივერსიტეტის ეზოს:

**შენიშვნა:**

\* **ნიკუმი - (Unicum)** - უნივერსიტეტთან მდებარე კაფე, რომელის სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს

---

*ავტორები: ნიკოლ დიურენბერგერი და იონათან მუკი*

**Übersetzt von**  
Natia Tsikelashvili